# ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N05

2024 წლის 31 იანვარი
ქ. ამბროლაური

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის სასპორტო სკოლის“ დირექტორის 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N01 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 143-ე მუხლის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის სასპორტო სკოლის“ დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ასლან საგანელიძე

ა.ა.იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სასპორტო

სკოლის 2023 წლის გაწეული მუშაობის შესახებ

გასულ 2023 წელს ამბროლაურის სასპორტო სკოლაში ირიცხებოდა 44 თანამშრომელი, აქედან 13 მწვრთნელი სპორტის 6 სახეობაში, დანარჩენი ტექნიკური და ადმინისტრაციის პერსონალია.

ჩვენი სპორტის სახეობებია:

1. კალათბურთი 3 მწვრთნელი და 35 მოსწავლე
2. ფრენბურთი 1 მწვრთნელი და 30 მოსწავლე
3. ჭადრაკი 3 მწვრთნელი და 45 მოსწავლე
4. მაგიდის ჩოგბურთი 3 მწვრთნელი და 30 მოსწავლე
5. კარატე 2 მწვრთნელი და 30 მოსწავლე
6. სამბო, ძიუდო 1 მწვრთნელი და 10 მოსწავლე

ყველა სპორტის სახეობაში გაერთიანებული იყო 180 მოსწავლე, სექტემბრამდე გვყავდა 200 მოსწავლე, მაგრამ 2 მწვრთნელი და 20 მოსწავლე სექტემბრის თვეში გამოგვეყო, შეიქმნა ახალი რეგიონალური ა(ა)ი.პ. რაგბიში, სადაც გაერთიანებულია ამბროლაურის, ცაგერის, ონის და ლენტეხის მოსწავლეები.

მიმდინარე წელს ამბროლაურის სასპორტო სკოლას აქვს გარკვეული წარმატებები სპორტის 6 სახეობაში, რაც შეეხება ადმინისტრაციას და სხვა ტექნიკურ პერსონალს ყველა ასრულებდა თავის მოვალეობას, როგორც მოგეხსენებათ ამბროლაურის სასპორტო სკოლის ძირითადი ბაზაა, კომპლექსური სპორტული დარბაზი, სადაც ტარდება მეცადინეობა სპორტის 6 სახეობაში და მას ემატება ყველა ის ღონისძიება, რაც ტარდება ჩვენს რაიონში სპორტული თუ გასართობი თამაშობები. ამით იმის თქმა გვინდა, რომ სპორტული კომპლექსი ყოველდღე დატვირთულია და ჩვენი საქმეც ეს არის, რომ მოვიზიდოთ ბევრი ბავშვი და შემდეგ მივცეთ სპორტის სხვადასხვა სახის არჩევის შესაძლებლობა.

რაც შეეხება ჩვენს 2023 წელს გაწეულ მუშაობას, მივყვებოდით პროგრამის მიხედვით. თებერვლის თვეში შემოვიტანეთ ყველა სპორტული ინვენტარი, კალათბურთის ფედერაციამ საჩუქრად გადმოგვცა საშეჯიბრო ტაბლო, რაც საჭიროა სპორტული შეჯიბრებისათვის, ჩავატარეთ და მონაწილეობა მივიღეთ, როგორც ადგილობრივ, ასევე გასვლით ღონისძიებებზე. გასულ წელს განსაკუთრებული შედეგებით გამოირჩეოდა ჩვენი სპორტ სკოლის მაგიდის ჩოგბურთის სექცია, სადაც მუშაობს 3 მწვრთნელი, მათ სასახელოდ უნდა ითქვას ,რომ გასულ წელს საუკეთესო შედეგი დადეს ყველა შეჯიბრებაში, სადაც მიიღეს მონაწილეობა კერძოდ ქ. თბილისში საქართველოს პირველობაზე, პატარა ასაკში საქართველოს ჩემპიონი გახდა აკაკი ვაჩაძის აღზრდილი დავით კობახიძე, რომელიც აყვანილი იქნა საქართველოს ნაკრებ გუნდში, მან წარმატებით გააგრძელა გამოსვლა სხვადასხვა შეჯიბრებებზე და ბოლოს მონაწილეობა მიიღო 18 -24 სექტემბერს ქ. ბათუმში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, აქ დამარცხდა

მაგრამ ჩვენი სასპორტო სკოლისათვის უდიდესი წარმატებაა მსოფლიოს პირველობაზე მონაწილეობა,აგრეთვე გვყავს საქართველოს პრიზიორები, როგორც გოგონებში ასევე ვაჟებში. ესენი არიან: ანი მეტონიძე, ნანა ცხვედიანი, ნინო და საბა კობახიძეები, ნიკოლოზ ნადირაშვილი და საბა მომცელიძე. აქვე მინდა ავღნიშნო ადგილობრივი, რაჭის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, რომელიც ჩავატარეთ ამბროლაურში ამა წლის 11 ივნისს, ამ ტურნირმა სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა, მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა კუთხის 120 მოთამაშემ, აქაც წარმატებით გამოვედით და დავიკავეთ ერთი პირველი, ერთი მეორე და სამი მესამე ადგილი, სულ ხუთი მედალი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ მედლებით, სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

დიდი წარმატებები აქვს ჩვენ კარატისტებს, მათ სხვადასხვა ღონისძიებაზე დაიკავეს 42 სხვადასხვა ხარისხის მედალი, გვყავს ევროპის ჩემპიონი ვასილ დვალაძე, რომელმაც გასულ წელს სექტემბრის თვეში ლიტვაში მეორედ მოიპოვა ეს დიდი ჯილდო.

10 – 11 ივნისს ქ. ამბროლაურში ჩავატარეთ საქართველოს ღია პირველობა კუნ -ფუგოში, სადაც ქვეყნის 100- მა კარატისტმა მიიღო მონაწილეობა, როგორც ყოველთვის ღონისძიება ჩატარდა ძალიან კარგად, გამარჯვებულები დავაჯილდოვეთ სიგელებით, მედლებით და ფასიანი საჩუქრებით. აქაც დავიკავეთ 5 პირველი 6 მეორე ადგილი, სულ11 მედალი. კარატეში წარმატებული ბავშვებია: საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები -ანჟელა მომცელიძე, გიორგი მომცელიძე, ლუკა ნასარიძე და ავთანდილ ტყეშელაშვილი.

კალათბურთში მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს ბე - ლგიის გათამაშება 16 წლამდე ასაკში. აქ ორი თამაში მოვიგეთ და ორ თამაშში დავმარცხდით და ჯგუფში მესამე ადგილი დავიკავეთ, აქ თაობათა ცვლა მიდის და ამდენად ცუდი შედეგი არ არის, ხოლო რეგიონის პირველობაზე ამ ასაკში პირველი ადგილი დავიკავეთ, რაც ყველაზე მთავარია გვყავს სამი მწვრთნელი და სამი ასაკის ბავშვები: 1. პირველი კლასიდან მეხუთე კლასის ჩათვლით მე- 2 გოგონები და მე- 3 დიდი გუნდი. რაც მთავარია მიდის ინტესიური წვრთნები, სადაც დაკავებულია 35 ბავშვი.

ჩოხიან ჭიდაობაში მონაწილეობა მივიღეთ ქ. ცაგერში ღია პირველობაზე, სადაც საქართველოს ექვსი გუნდი მონაწილეობდა აქ მესამე გუნდური საპრიზო ადგილი დავიკავეთ.

ფრენბურთში ვარჯიშობს 30 მოსწავლე, აქ პატარა ასაკში რეგიონის პირველობაზე დავიკავეთ პირველი ადგილი. სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს მონაწილეობა მივიღოთ ფრენბურთის ბავშვთა ლიგაზე, რომლისთვისაც მზადება უკვე დაწყებული გვაქვს, როგორც გოგონეში ასევე ვაჟებში.

გარკვეული წარმატებები გვაქვს ჭადრაკში, სადაც მოსწავლეები საუკეთესო ათეულში ხვდებიან საქართველოს პირველობაზე.

მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს დახმარებით მიმდინარე წლის 1 – 7 აგვისტოს ჩავატარეთ ტრადიციული რაჭის ღია პირველობა ჭადრაკში. ამ ტურნირზე მონაწილეობა მიიღო ცხრა რეგიონის ოცი მუნიციპალიტეტის 160 - მა მოჭადრაკემ. ტურნირი კარგად და ორგანიზებულად ჩატარდა. ტურნირის მსვლელობის დროს მოხდა შოვის ტრაგედია, ამის გამო ბოლო ორი ტური ნაჩქარევად ჩავატარეთ და ვერ მოვახერხეთ საზეიმო დახურვა. წარმატებით გამოვიდა ჩვენი რაიონის მოჭადრაკეები. ღია ტურნირის აბსოლიტური ჩემპიონი გახდა დავით გოცირიძე, ამ დისიპლინაში მესამე ადგილი დაიკავა ლექსო მეტრეველმა, 16 წლამდე ბიჭებში

მესამე ადგილი დაიკავა გიორგი კობახიძემ, 14 წლიან გოგონებში მეორე ადგილი დაიკავა მარიამ გობეჯიშვილმა, ამავე ასაკში მესამე ადგილი დაიკავა მარიამ კერესელიძემ, მწვრთნელთა კონკურსში მეორე ადგილი დაიკავა ჩვენმა მწვრთნელმა ზურაბ კობახიძემ.

მიმდინარე წლის 30 ივლისს ნიკორწმინდის ტერიტორიაზე მოეწყო საცხენოსნო ტურნირი.საპრიზო ფონდი 5000 ლარი გამარჯვებულთათვის დააწესა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ. ამ ღონიძიებაზე მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა რაიონის 50 მხედარმა. ღონისძიება ჩატარდა ორგანიზებულად ხუთ გარბენში სხვადასხვა ჯიშის ცხენების მიხედვით. მთავარი პრიზი სუფთა ჯიშის ცხენებში დაიკავა ამბროლაურელმა ლაშა ლაიშვილმა და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა სოფ.თლუღელმა დათო ცაგურიშვილმა.

სექტემბერ - ოქტომბერის თვეში საუკეთესო შედეგები აჩვენეს ჩვენი სკოლის კუდოს ნაკრებმა გუნდმა, რომლებმაც კიდევ 9 მედალი მოიპოვეს საქართველოს პირველობაზე.

გასულ წელს ჩვენი 5 მოსწავლე (კარატეში) ირიცხებოდა საქართველოს ნაკრებ გუნდში, აგრეთვე მაგიდის ჩოგბურთის ნაკრებში მიწვეული იყო 4 მოსწავლე, რაც უდაოდ დიდი წარმატებაა ჩვენი სკოლისათვის.

სექტემბერ ოქტომბრის თვეში ჩვენი კომპლექსი დაკავებული იყო სასკოლო თამაშებით, სადაც გამოდიოდნენ ჩვენი რაიონის საჯარო სკოლის მოსწავლეები სპორტის სხვადასხვა სახეობებში: კალათბურთში, ფრენბურთში, მინი ფეხბურთში და მძლეოსნობაში. აქ გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონის პირველობაზე.

გვყავს წარმატებული კვალიფიკაციური მწვრთნელები: დუშუაშვილი დავითი, ვაჩაძე აკაკი, შარაბიძე გია, დარახველიძე მერაბი, მეტრეველი ზაალი, თომაძე გიორგი, სარდანაშვილი ბადრი, ცხვედიანი მინდია ცხვედიანი გოდერძი, კობახიძე ზურაბი, ქოქოსაძე გიორგი, ქურციკიძე ზურაბი.

გასულ წელს პროგრამით გაწერილი ყველა პროექტი შევასრულეთ.

ა(ა)ი.პ. ამბროლაურის სასპორტო სკოლის 2023 წლის ბიუჯეტის ფინანსური ანგარიში -სუბსიდია

| ა(ა)ი.პ. ამბროლაურის სასპორტო სკოლა | | | | | 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული | 29.12.2022 | 29.06.2023 | 31.08.2023 | 1.11.2023 | 22.12 23 | 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯი | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | გადასახდელები | 370 000,00 | 376 100,00 | 386 100,00 | 386 100,00 | 386 100,00 | 386 100,00 | 385 777,04 | 99,92 |
| სახაზინო კოდი | | | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 45,00 | 45,00 | 45,00 | 45,00 | 45,00 | 45,00 | 45,00 | |
| 2 | | | | ხარჯები | 367 500,00 | 373 600,00 | 383 600,00 | 383 100,00 | 382 600,00 | 385 110,00 | 384 787,04 | |
| 2 | 1 | | | შრომის ანაზღაურება | 269 280,00 | 275 280,00 | 275 280,00 | 270 855,00 | 274 333,00 | 280 514,86 | 280 514,82 | |
| 2 | 1 | 1 | | ხელფასი | 269 280,00 | 275 280,00 | 275 280,00 | 270 855,00 | 274 333,00 | 280 514,86 | 280 514,82 | |
| 2 | 1 | 1 | 1 | ხელფასები ფულადი ფორმით | 269 280 | 275 280,0 | 275 280,0 | 270 655,0 | 274333 | 272 793,34 | 272 793,34 | |
| 2 | 1 | 1 | 2 | დანამატი (წახალისების ფონდი) | | | | | | 7 721,52 | 7 721,48 | |
| 2 | 2 | | | საქონელი და მომსახურება | 67 475,00 | 67 575,00 | 77 075,00 | 72 655,00 | 68 945,00 | 65 418,14 | 65 095,22 | |
| 2 | 2 | 1 | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 11 100,00 | 11 100,00 | 11 100,00 | 11 100,00 | 11 100,00 | 11 100,00 | 11 100 | |
| 2 | 2 | 2 | | მივლინებები | 6 000,00 | 6 000,00 | 6 000,00 | 6 000,00 | 6 970,00 | 6 870,00 | 6 870,00 | |
| 2 | 2 | 2 | 1 | მივლინება ქვეყნის შიგნით | 6 000.00 | 6 000,00 | 6 000,00 | 6 000,00 | 6970 | 6870 | 6 870,00 | |
| 2 | 2 | 2 | 2 | მივლინება ქვეყნის გარეთ | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0.00 | 0,00 | 0,00 | |
| 2 | 2 | 3 | | ოფისის ხარჯები | 26 175,00 | 26 175,00 | 26 175,00 | 23 175,00 | 18 995,00 | 16 687.14 | 16 364,22 | |
| 2 | 2 | 3 | 1 | საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა | 611,00 | 611,00 | 611,00 | 611,00 | 611,00 | 608,80 | 608,80 | |
| 2 | 2 | 3 | 2 | კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი | | | | | | | | |
| 2 | 2 | 3 | 3 | ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები | 14,00 | 14,00 | 14,00 | 14,00 | 14,00 | 14,00 | 14,00 | |
| 2 . | 2 | 3 | 4 | მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი | 200,00 | 200,00 | 200,00 | 200,00 | 200,00 | | | |
| 2 | 2 | 3 | 5 | საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი | 3 000,00 | 3 000,00 | 3 000,00 | 0,00 | 0,00 | | | |
| 2 | 2 | 3 | 6 | ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი | 2 000.00 | 2 000,00 | 2 000,00 | 2 000,00 | 2 000,00 | 2 000,00 | 2 000,00 | |
| 2 | 2 | 3 | 7 | რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი | 1 000,00 | 1 000,00 | 1 000,00 | 1 000,00 | 1 000,00 | 1 000,00 | 1 000,00 | |
| 2 | 2 | 3 | 8 | შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი | 1 000,00 | 1 000,00 | 1 000,00 | 1 000,00 | 300,00 | 300,00 | 300,00 | |
| 2 | 2 | 3 | 9 | საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი | 200,00 | 200,00 | 200,00 | 200,00 | 200,00 | | | |
| 2 | 2 | 3 | 10 | კავშირგაბმულობის ხარჯი | 2 000,00 | 2 000,00 | 2 000,00 | 2 000.00 | 1 860,00 | 1 761,07 | 1 633,05 | |
| 2 | 2 | 3 | 11 | საფოსტო მომსახურების ხარჯი | 50,00 | 50,00 | 50,00 | 50,00 | | | | |
| 2 | 2 | 3 | 12 | კომუნალური ხარჯი | 15 500,00 | 15 500,00 | 15 500,00 | 15 500,00 | 12 500,00 | 10 693,47 | 10 498,57 | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 2 | 3 | 14 | ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული | 600,00 | 600,00 | 600,00 | 600,00 | 310,00 | 309,80 | 309,80 | |
| 2 | 2 | 4 | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 3 000,00 | 3 000,00 | 4 000,00 | 2 580,00 | 2 580,00 | 2 050,00 | 2 050,00 | |
| 2 | 2 | 5 | | კვების ხარჯები | | | | | | | | |
| 2 | 2 | 6 | | სამედიცინო ხარჯები | 400,00 | 500,00 | 500,00 | 500,00 | | | | |
| 2 | 2 | 7 | | რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | 6 300,00 | 6 300,00 | 6 300,00 | 6 300,00 | 6 300,00 | 6 300,00 | 6 300,00 | |
| 2 | 2 | 8 | | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | | | | | | | | |
| 2 | 2 | 8 | 1 | საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი | | | | | | | | |
| 2 | 2 | 8 | 2 | მიმდინარე რემონტის ხარჯი | | | | | | | | |
| 2 | 2 | 8 | 3 | ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი | | | | | | | | |
| 2 | 2 | 8 | 4 | ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი | | | | | | | | |
| 2 | 2 | 8 | 5 | მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენა შენახვის ხარჯი | | | | | | | | |
| 2 | 2 | 8 | 6 | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის არაკლასიფიცირებული ხარჯები | | | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 14 500,00 | 14 500,00 | 23 000 | 23 000 | 23 000 | 22 411 | 22 411,00 | |
| 2 | 2 | 10 | 1 | ბანკის მომსახურების ხარჯი | | | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 3 | ექსპერტიზის და შემოწმების ხარჯი | | | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 4 | კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი | | | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 5 | რეკლამის ხარჯი | | | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 6 | სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი | | | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 7 | საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯი | | | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 8 | აუდიტორული მომსახურების ხარჯი | | | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 9 | საარქივო მომსახურების ხარჯი | | | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 10 | შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი | | | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 11 | ბინის ქირა | | | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 12 | კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო, საგამოფენო ღონისძიებების და მაუწყებლობის ხარჯები | 14 500,0 | 14 500,0 | 23 000,0 | 23 000,0 | 23 000,0 | 22 411,0 | 22 411,0 | |
| 2 | 2 | 10 | 14 | სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი | | | | | | | | |
| 2 | 3 | | | ძირითადი კაპიტალის მომსახურება | | | | | | | | |
| 2 | 4 | | | პროცენტი | | | | | | | | |
| 2 | 5 | | | სუბსიდიები | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 6 | | | გრანტები | | | | | | | | |
| 2 | 7 | | | სოციალური უზრუნველყოფა | | | | | | | | |
| 2 | 8 | | | სხვა ხარჯები | 30 745 | 30 745 | 31 245 | 39 590 | 39 322 | 39 177 | 39 177 | |
| 2 | 8 | 1 | 1 | ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა | | | | | | | | |
| 2 | 8 | 2 | | სხვადასხვა ხარჯები | 30 745 | 30 745 | 31 245 | 39 590 | 39 322 | 39 177 | 39 177 | |
| 2 | 8 | 2 | 1 | სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები | 30 745 | 30 745 | 31 245 | 39 590 | 39 322 | 39 177 | 39 177 | |
| 2 | 8 | 2 | 2 | სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები | | | | | | | | |
| 3 | 1 | | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2 500 | 2 500 | 2 500 | 3 000 | 3 500 | 990 | 990 | |

ააიპსასპორტო სკოლის დირექტორი: ბ.სარდანაშვილი

ბუღალტერი: თ.მკერვალიშვილი

ა(ა)ი.პ. ამბროლაურის სასპორტო სკოლის **2023** წლის ბიუჯეტის ფინანსური ანგარიში -შემოსავლები

| ა(ა)ი.პ. ამბროლაურის სასპორტო სკოლა | | | | | 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული | 15.08.2023 | 1.11.2023 | 22.12.2023 | 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯი | ნაშთი 1-იანვრისთვის |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გადასახდელები | | | | | 5 000 | 5 000 | 6 048 | 6 048 | 6 048 | 100,00 |
| სახაზინო კოდი | | | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | | | | | |
| 2 | | | | ხარჯები | 4 000 | 3 850 | 4 048 | 4 949 | 4 949 | |
| 2 | 1 | | | შრომის ანაზღაურება | 1 500 | 0 | 0 | 901 | 901 | |
| 2 | 1 | 1 | | ხელფასი | 1 500 | 0 | 0 | 901 | 901 | |
| 2 | 1 | 1 | 1 | ხელფასები ფულადი ფორმით | | | | | | |
| 2 | 1 | 1 | 2 | დანამატი (წახალისების ფონდი) | 1 500 | 0 | 0 | 901 | 901 | |
| 2 | 2 | | | საქონელი და მომსახურება | 2 500 | 3 400 | 4 048 | 4 048 | 4 048 | |
| 2 | 2 | 1 | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | | | | | |
| 2 | 2 | 2 | | მივლინებები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | |
| 2 | 2 | 2 | 1 | მივლინება ქვეყნის შიგნით | | | | | | |
| 2 | 2 | 2 | 2 | მივლინება ქვეყნის გარეთ | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 2 | 3 | | ოფისის ხარჯები | 0,0 | 0,0 | 648,0 | 648,0 | 648,0 | |
| 2 | 2 | 3 | 1 | საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, | | | | | | |
| 2 | 2 | 3 | 2 | კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი | | | | | | |
| 2 | 2 | 3 | 3 | ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყოველ | | | | | | |
| 2 | 2 | 3 | 4 | მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და | | | | | | |
| 2 | 2 | 3 | 5 | საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი | | | 500 | 500 | 500 | |
| 2 | 2 | 3 | 6 | ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი | | | 148 | 148 | 148 | |
| 2 | 2 | 3 | 7 | რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის | | | | | | |
| 2 | 2 | 3 | 8 | შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი | | | | | | |
| 2 | 2 | 3 | 9 | საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი | | | | | | |
| 2 | 2 | 3 | 10 | კავშირგაბმულობის ხარჯი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 2 | 3 | 11 | საფოსტო მომსახურების ხარჯი | | | | | | |
| 2 | 2 | 3 | 12 | კომუნალური ხარჯი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | |
| 2 | 2 | 3 | 14 | ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული | | | | | | |
| 2 | 2 | 4 | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 1 500 | 0 | 0 | 0 | | |
| 2 | 2 | 5 | | კვების ხარჯები | | | | | | |
| 2 | 2 | 6 | | სამედიცინო ხარჯები | | | | | | |
| 2 | 2 | 7 | | რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან და დაკავშირებული ხარჯები | | | | | | |
| 2 | 2 | 8 | | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | | | | | | |
| 2 | 2 | 8 | 1 | საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი | | | | | | |
| 2 | 2 | 8 | 2 | მიმდინარე რემონტის ხარჯი | | | | | | |
| 2 | 2 | 8 | 3 | ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი | | | | | | |
| 2 | 2 | 8 | 4 | ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი | | | | | | |
| 2 | 2 | 8 | 5 | მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და | | | | | | |
| 2 | 2 | 8 | 6 | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 1 000 | 3 400 | 3 400 | 3 400 | 3 400 | |
| 2 | 2 | 10 | 1 | ბანკის მომსახურების ხარჯი | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 3 | ექსპერტიზის და შემოწმების ხარჯი | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 4 | პარტნიორ ... | 500,00 | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 5 | რეკლამის ხარჯი | 500,00 | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 6 | სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 7 | საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯი | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 8 | აუდიტორული მომსახურების ხარჯი | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 9 | საარქივო მომსახურების ხარჯი | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 10 | შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 11 | ბინის ქირა | | | | | | |
| 2 | 2 | 10 | 12 | კულტურული, სამოსული, საგანმანათლებლო, საგამოფენო [illegible] | | 3 400 | 3 400 | 3 400 | 3 400 | |
| 2 | 2 | 10 | 14 | სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი | | | | | | |
| 2 | 3 | | | ძირითადი კაპიტალის მომსახურება | | | | | | |
| 2 | 4 | | | პროცენტი | | | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 6 | | | გრანტები | | | | | | | |
| 2 | 7 | | | სოციალური უზრუნველყოფა | | | | | | | |
| 2 | 8 | | | სხვა ხარჯები | 0 | 450 | 0 | 0 | | 0 | |
| 2 | 8 | 1 | 1 | ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა | | | | | | | |
| 2 | 8 | 2 | | სხვადასხვა ხარჯები | 0 | 450 | 0 | 0 | | 0 | |
| 2 | 8 | 2 | 1 | სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები | | 450 | 0 | 0 | | | |
| 2 | 8 | 2 | 2 | სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები | | | | | | | |
| 3 | 1 | | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1 000,0 | 1 150 | 2 000 | 1 099 | | 1 099,0 | |

ააიპსასპორტო სკოლის დირექტორი: ბ.სარდანაშვილი

ბუღალტერი: თ.მკერვალიშვილი